ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

<u>შენიშვნა:</u> ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, სააგენტოს 2022 წლის 23 მაისის N21/1919 წერილის საფუძველზე შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „ჯეო ენტერპრაიზს“ დაევალა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N2941; 06.07.2022).

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ დოკუმენტში წარმოდგენილი საჭიროების დასაბუთება რეალურად არ წარმოადგენს საჭიროების დასაბუთებას. შემოთავაზებული ქვეთავი არ იძლევა ნათელ სურათს, რადგან შემოიფარგლება მხოლოდ ზედაპირული შეფასებებით, მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას რომ საჭიროების დასაბუთება წარმოადგენს მხატვრულად შესრულებულ თავს და არაფერი აქვს საერთო მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების ხელშეწყობასთან. საჭიროების დასაბუთებითვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზედაპირული და სუბიექტურია, არ ეყრდნობა მონაცემებსა და მიკვლევად კვლევებს. ნახსენებია ბაზრის კვლევა, თუმცა არ გვხდება	დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში კომპანია განმარტავს, რომ საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე დაიწყო სამომხმარებლო ბაზარზე დაკვირვება, როგორც პირველადი ინფორმაციის შეგროვება, ისე უკვე არსებული მონაცემების ანალიზი. ინფორმაციის შეგროვება მოიცავდა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიმდინარე ტენდერების შესწავლა-ანალიზს, ასევე კონკრეტულ სფეროში არსებული ბიზნესის გამოცდილების გაზიარებას. დოკუმენტაციის მიხედვით, თვისობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბაზარზე დეფიციტურია ცალკეული მოწყობილობები, მანქანა-დანადგარების დეტალები, როგორიცაა სამსხვრეველას ჯავშანი, წისქვილის სხვადასხვა ზომის ბურთები და სხვა.

		ისეთი დამატებითი დეტალებიც კი როგორიცაა თუნდაც კვლევის განხორციელების პერიოდი ან კვლევისას გამოვლენილი შედეგები. შესაბამისად, გზშ-ში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით საწარმოს საქმიანობის დასაბუთება შეუძლებელია.	აღნიშნულ დეტალებზე მოთხოვნა რაოდენობრივად დიდი არ არის, თუმცა მომხმარებლებს დეტალების დეფიციტურობის გამო უწევთ უცხოეთში შეკვეთა, რაც იწვევს ცალკეული საქმიანობების შეფერხებას. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები ასევე საჭიროებს ცალკეული ლითონის დეტალების გამოყენებას, რომლებიც არ იყიდება სერიულად (მაგ. დეტალები სხვადასხვა შინაარსის წარწერით ან ლოგოთი). შესაბამისად, კომპანიის განმარტებით, მონაცემთა ანალიზისა და კომპანიის შესაძლებლობების გათვალისწინებით დაიგეგმა საწარმოს მოწყობა, სადაც ტექნიკურად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების დეტალების ჩამოსხმა. ამ მიმართულებით კომპანია შეძლებს მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წარმოების შედეგად მოხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის ნაწილის დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების პროდუქტით, რაც თავისთავად გამოიწვევს იმპორტის შემცირებას და ბაზრის დასტაბილურებას ქვეყანაში. პროექტის საჭიროების დასაბუთების ნაწილში, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივაც.

2	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ხედვით, გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (გზშ) უნდა მოიცავდეს პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს და შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირებისგან მიღებული სარგებლის დასაბუთებას. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში კი მსგავს ჩანაწერს არ მოიცავს და საწარმოს აუცილებლობა მხოლოდ სუბიექტური შეფასებებითაა დასაბუთებული, რაც არ იძლევა სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.	დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ გზშ-ის ანგარიშში (თავი 10.2.14 – „სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე ზემოქმედების შედარებითი ანალიზი“) მოცემულია პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი. გზშ-ის ანგარიშში მოცემული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი შედგება დასაბუთებული თეორიული მსჯელობისაგან, რომელიც დაფუძვნებულია დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილე დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების შეფასებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დანერგილი იქნება სწორი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს (ჰაერის, წყლის, მყარი ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების) და ბუნებრივი რესურსების დაცვას, იხელმძღვანელებს გარემოს დაცვის ძირითადი (მათ შორის მგდრადობის) პრინციპებით.

3	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	დოკუმენტში ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ საიდან მოხდება საწარმოს მომარაგება ჯართით და რა წილი იქნება მასში იმპორტირებული, რადგან ერთ-ერთ მონაკვეთში ნახსენებია, რომ საწარმო იმუშავებს იმპორტირებულ ნედლეულზეც. ასევე, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ ვინ მოამარაგებს საწარმოს წარმოებისთვის საჭირო ნედლეულით იქნება ეს ჯართი, ბენტონიტი თუ კვარცის ქვიშა.	გზშ-ის ანგარიშისა და დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნედლეული (ჯართი) შემოტანილი იქნება ქვეყანაში არსებული ჯართის მიმღები პუნქტებიდან. დოკუმენტაციის თანახმად, რკინის ჯართიდან სათანადო ნადნობის მიღების მიზნით შესაძლებელია საჭირო გახდეს დანამატების (კვარცის ქვიშა, ბენტონიტი) გამოყენება, რომელთა შესყიდვაც მოხდება ადგილობრივი მწარმოებლებისაგან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, ჯართთან ერთად ნედლეულის სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რკინის ნახევარფაბრიკატი (სხმული, ნამზადი), რომელიც შესყიდული იქნება როგორც ადგილობრივი მწარმოებლებისგან, ისე იმპორტიორებისგან. შესაბამისად, დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია იმპორტს გეგმავს მხოლოდ სხმულების (ნახევარფაბრიკატების) შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს რკინის ჩამოსხმულ დეტალს.
4	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	2021 წლის 1 ივნისიდან სავალდებულოა უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის წარმოება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სუბიექტისთვის, რომელიც ახორციელებს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართით განსაზღვრულ საქმიანობას.	გზშ-ის ანგარიშში (თავი 11.1. – „ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი“) აღნიშნულია, რომ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით დამტკიცებული „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

		დანართით განსაზღვრულ საქმიანობათა ჩამონათვალში შესულია თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით, რაც მოიცავს შპს“ ჯეოენტრპრაიზ“-ის მიერ რუსთავში დაგეგმილ საქმიანობას - ფოლადისა და თუჯის სხმულების დამზადებას. ამგვარად, საწარმო ვალდებულია ოპერირებისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოების მიზნით ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვროს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობა. თუმცა, დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ქვეთავში (11.1) ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „როგორც ცხრილი 11.2-ში ჩანს, მოქმედი ნორმატიული აქტებითა და საპროექტო პარამეტრების შესაბამისად, ინდუქციური ღუმელების ექსპლუატაციის პირობებში საწარმოდან გაფრქვეულ აირნარევში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია მცირეა და არ ექვემდებარება უწყვეტ ინსტრუმენტალურ კონტროლს“. თუმცა, აღნიშნული მტკიცებისას არ აქვს მოყვანილი ის კონკრეტული ნორმატიულ აქტი ან აქტები, რომლებიც საქმიანობას უწყვეტი	და „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის N192 დადგენილების შესაბამისად. ამავე თავში აღნიშნულია, რომ მთავრობის N192 დადგენილების თანახმად, უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა სავალდებულოა სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მიხედვით, იმავე დადგენილების დანართი 6-ით ნივთიერებათა განსაზღვრულ გაზომვის დიაპაზონში. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად, ინდუქციური ღუმელების ექსპლუატაციის პირობებში საწარმოდან გაფრქვეულ აირნარევში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია მცირეა (თავი „11.1. ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი“; ცხრილი 11.2.; გვ. 144) და არ ექვემდებარება უწყვეტ ინსტრუმენტულ მონიტორინგს. აღნიშნული საკითხი განმარტებულ იქნა როგორც საჯარო განხილვის სხდომის მსვლელობისას, ასევე კომპანიის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

		თვითმონიტორინგისგან ვალდებულებისგან ათავისუფლებს.	ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (6) განესაზღვრა ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, ინდუქციური ღუმელების გაფრქვევის მილზე აირჰაერმტვერნარევის მოცულობითი სიჩქარის და გოგირდის დიოქსიდის (SOx) ინსტრუმენტული განსაზღვრა, საწარმოს სრული დატვირთვის პირობებისთვის და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა; გარდა ამისა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის (5) შესაბამისად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის კონკრეტული გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის ყველა წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად, მოცემული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს პერიმეტრზე და 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე (სიხშირის, მონიტორინგის წერტილების კოორდინატების და შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით).

5	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის დოკუმენტი მოიცავს ალტერნატივების ანალიზს, მათ შორის არაქმედების ალტერნატივასაც. არაქმედების ალტერატივის ნაწილში ვხვდებით შემდეგი სახის არგუმენტაციას: “საქმიანობის არ განხორციელების ალტენატივად, თუ განვიხილავთ არსებული შენობა ნაგებობის უფუნქციოდ ყოფნას, რამდენიმე წელიწადში მოსალოდნელია იგივე სურათის მიღება, რაც მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიებზეა.” - საქმიანობის განმახორციელებელი საუბრობს შენობის გარდაუვალ ნგრევაზე და მანიპულირებს ამ ფაქტით, მაშინ, როდესაც სრულიად შესაძლებელია შენობაში სამომავლოდ ისეთი ტიპის საწარმოს განთავსება, რომელიც ექსპლუატაციის ფაზაზეც არ შეიტანს წვლილს ჰაერის დაბინძურებაში. გარდა ამისა, დასკვნის სახით წარმოდგენილი ჩანაწერიც ბუნდოვანია და სუბიექტურია და არ ასაბუთებს საწარმოს მოწყობის გარდაუვალ საჭიროებას - “ობიექტის ექსპლუატაციის დროს დაცული იქნება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მთხოვნები, ამ პირობებში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება იქნება დაბალი, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი კი მნიშვნელოვანი.”	გზშ-ის ანგარიშში პროექტის არაქმედების ალტერნატივასთან დაკავშირებით განხილულია არა მხოლოდ არსებული შენობის უფუნქციოდ დატოვების შემდგომ მიღებული სავალალო შედეგი, არამედ საქმიანობის განხორციელების შედეგად სოციო-ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, ექსპორტის გარეშე. ამასთან აღნიშნულია, რომ პროექტის არ განხორციელებით გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, თუმცა საქმიანობის არ განხორციელება უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე (თავი „9.1. ნულოვანი, ანუ არაქმედების ალტერნატივა“, გვ. 97-98). დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში ასევე განხილულია ზემოაღნიშნული საკითხი და კომპანიის განმარტებით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში, სადაც საწარმო ობიექტები ეწყობა. შესაბამისად, სხვა საწარმო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის შემთხვევაშიც იქნება მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედება, ხოლო ზემოქმედების მასშტაბი დამოკიდებულია წარმოების ტიპზე და გასატარებელ შემარბილებელ ღონისძიებებზე.

6	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი ალტერნატივების განხილვა, რეალურად არ წარმოადგენს ალტერნატივების ანალიზს. დოკუმენტში წარმოდგენილი 4 ალტერნატივიდან 3 განთავსებულია ერთსა და იმავე ზონაში რამდენიმე მეტრიანი დაშორებით, ხოლო მე-4 ალტერნატივა თბილისში, მჭიდროდ დასახლებული უბნის მახლობლად, რაც თავისთავად გამორიცხავს მე-4 ალტერნატივას. დარჩენილი 3 ალტერნატივის შეფასება აზრს კარგავს ალტერნატივების შეფასების გარემოსდაცვით ნაწილს, რადგან დარჩენილი 3 ადგილიდან რომელ კონკრეტულზე გაკეთდებოდა არჩევანი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის, რადგან მათ მიერ გამოზე ზემოქმედება გავრცელდებოდა ერთსა და იმავე პერიმეტრზე.	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელებისათვის ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიებზე შერჩეული იქნა რამდენიმე ალტერნატიული მიწის ნაკვეთი. პირველ ალტერნატიულ ლოკაციად შერჩეულ იქნა - ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, სამრეწველო ზონა, ხოლო მეორე ალტერნატიულ ვარიანტად - რუსთავის სამრეწველო ზონა, კერძოდ საქმიანობის განხორციელებისათვის განხილულ იქნა ყოფილი ქიმიური ბოჭკოს საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე სამი (ს/კ 02.07.01.645; 02.07.01.518; 02.07.01.299) მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული პროექტის საჯარო განხილვაზე გზშ-ის ანგარიშის შემდგენელი **საკონსულტაციო კომპანიის შპს „სამნის“ წარმომადგენელმა სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“** წარმომადგენელს ანალოგიურ კითხვაზე პასუხად განმარტა, რომ დოკუმენტაციაში ფაქტიურად განხილულია ორი ძირითადი ალტერნატიული ვარიანტი, საიდანაც პირველი უგულებელყოფილი იქნა მასთან მოსახლეობის სიახლოვის (250 მ) გამო. ხოლო რაც შეეხება რუსთავში წარმოდგენილ ტერიტორიებს, მომხსენებლის თქმით, ამ შემთხვევაში განიხილებოდა კონკრეტული მიწის ნაკვეთების უპირატესობები, მათზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. შესაბამისად, შერჩეულ იქნა ისეთი მიწის ნაკვეთი, რომელზეც უკვე

			განთავსებული იყო შენობა-ნაგებობა, რამაც სამშენებლო სამუშაოები და მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება შეამცირა.
7	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს წარმოებისთვის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების დასაბუთებას, რაც წარმდგენილია ღუმელის შემთხვევაში, თუმცა ბუნდოვანია, რა კრიტერიუმით მიხედვით შეირჩა საწარმოსთვის რუსული წარმოების ფილტრი და რა უპირატესობით ხასიათდება ის სხვა ალტერნატივებთან შედარებით.	გზშ-ის ანგარიშისა და დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მტვერდამჭერი მოწყობილობიდან მშრალი სახელოებიანი ფილტრის ეფექტურობა ყველაზე მაღალია, შესაბამისად სახელოიანი ფილტრის არჩევა უალტერნატივოა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ აირგამწმენდი სისტემა აღჭურვილია რუსული წარმოების კვამლგამწოვით, რომელიც ადაპტირებულია ქვეყანაში არსებულ ელექტროკვებაზე, თუმცა თავად ფილტრი არა რუსული, არამედ გერმანული წარმოებისაა. აღნიშნულ საკითხს სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენელი შეეხო პროექტის საჯარო განხილვის სხდომაზეც, სადაც **საკონსულტაციო კომპანიის შპს „სამნის“ წარმომადგენელმა** განმარტა, რომ ფილტრის ალტერნატივა გზშ-ის ანგარიშში არ ყოფილა განხილული, რადგან ღუმელის კომპლექტაციაში მოხდა მშრალი გამწმენდის შეძენა. რაც შეეხება ეფექტურობას, მან აღნიშნა, რომ აირგამწმენდი

			სისტემებიდან უფრო მაღალეფექტურია მშრალი წმენდიდან სახელოიანი ფილტრი.
8	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	დოკუმენტში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებში ვკითხულობთ “არახელსაყრები მეტეოპირობების დროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, შედგენილი იქნება სათანადო მოქმედებათა გეგმა.”- აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს მეტ კონკრეტიკას, კერძოდ: რა იგულისხმება არახელსაყრელ მეტეოპირობებში, ვინ განსაზღვრავს ან რა პარამეტრებზე დაყრდნობით მოხდება არახელსაყრელი მეტეოპირობების განსაზღვრა, რას გულისხმობს, რა კონკრეტულ შემარბილებელ ღონისძიებებს მოიცავს სათანადო მოქმედებათა გეგმა და ვინ იქნება აღნიშნული გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი?	„არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების ღონისძიებათა გეგმის“ შემუშავება ხდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N8 დადგენილებით დამტკიცებული „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად. აღნიშნული რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინება სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის.
9	ამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com	სკოპინგის დასკვნაში კომპანიას მოთხოვნილი აქვს წარმოადგინოს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები, თუმცა, გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ ექსპლუატაციის ეტაპს აფასებს, რადგან	2020 წლის 16 დეკემბერს შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იყო ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგენილ იქნა

	მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 — ააიპ „მწვანე ალტერნატივა“ ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	საწარმოს მოწყობა დასრულდა გზშ-ის პროცედურამდე, რაც წარმოადგენს კანონდარღვევას. გზშ-ის დოკუმენტით ირკვევა, რომ საქმიანობის განმახორციელებს ტერიტორიაზე დასრულებული აქვს საწარმოს მოწყობა, რაც ერთი მხრივ აზრს უკარგავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის უხეშ დარღვევას. გზშ პროცედურის დროს უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი ზემოქმედება, არამედ საწარმოს მოწყობის დროს არსებული ზემოქმედებაც. მოცემულ შემთვევაში კი ზემოქმედება სრულად არაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, მსგავსი პრაქტიკა ზრდის გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოებისა და დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ალბათობას.	დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N11 22.02.2021; ბრძანება N2-238 25.02.2021). სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, შპს „ჯეო ენტერპრაიზმა“ უზრუნველყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით 2021 წლის 19 აგვისტოს სამინისტროში წარმოდგენილი იქნა ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. 2021 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის დასრულების შემდეგ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ საწარმოს მოწყობისთვის უკვე შესრულებულია გარკვეული
		2022 წლის 3 მაისს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში ჩატარდა მეტალურგიული საწარმოს პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელიც ესწრებოდა. საჯარო განხილვის შემდეგ, კომპანიისა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ვიმყოფებოდით საპროექტო ტერიტორიაზე. როგორც ადგილზე გასვლის შედეგად გაირკვა	

		შპს „ჯეო ენტერპრაიზს“ უკვე დასრულებული აქვს საწარმოს მშენებლობა და მოწყობა. თუმცა, როგორც დოკუმენტაციის გაცნობისას აღმოვაჩინეთ, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას სამინისტრო ჯერ კიდევ რვა თვის წინ ფლობდა. თავდაპირველად, პროექტთან დაკავშირებული გზშ ანგარიში 2021 წლის 24 აგვისტოს გამოქვეყნდა და 2021 წლის 1 ოქტომბერს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში ჩატარდა საჯარო განხილვა. 2021 წლის 15 ოქტომბერს სამინისტრომ გამოაქვეყნა მისი 13 ოქტომბრის N10694/01 წერილი, რომლითაც კომპანიას დაავალა საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების დაზუსტება. ამასთან, როგორც წერილიდან ირკვევა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის ადგილზე ვიზუალური დათვალიერების საფუძველზეც დადგინდა, რომ საწარმოს მოწყობისთვის უკვე შესრულებული იყო გარკვეული ტიპის სამუშაოები და კომპანიის მიერ თითქმის დასრულებული იყო საწარმოს მოწყობითი სამუშაოების ნაწილი. სამინისტრომ ნაცვლად იმისა, რომ უარი ეთქვა გარემოსდაცვით გადაწყვეტილების გაცემაზე, მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე. სამინისტრომ	ტიპის სამუშაოები. აღნიშნული ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (წერილი N10602/01; 08/10/2021). სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპრტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ კუთვნილი საწარმოს ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” გათვალისწინებული შესაბამისი საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების ფაქტი. გამომდინარე აქედან, საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 3 ნოემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №064322 ოქმი და მასალები განსახილველად გადაიგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი საკითხებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროექტზე სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის N10694/01 წერილით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. ასევე კომპანიას დაევალა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით განახლებული გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენა, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა ყოფილიყო საწარმოს ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი, შესაძლო

		კომპანიას მოსთხოვა გზშ-ის ანგარიშის წარდგენა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნებოდა საწარმოს ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი, შესაძლო ზემოქმედების სახეები. შედეგად, 2021 წლის 1 ნოემბერს შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ დირექტორმა კვლავ წარადგინა სამინისტროში გზშ-ის ანგარიში და მოითხოვა წარდგენილი დოკუმენტის განხილვა. 2021 წლის 10 ნოემბერს სამინისტრომ კვლავ გამოაქვეყნა მისი 9 ნოემბრის N11615/01 წერილი, რომლითაც კომპანიას განმეორებით დაავალა გზშ-ის ანგარიშის წარდგენა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და კვლავ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. სამინისტრომ მეორედაც, არათუ შეაფასა და მიიღო გადაწყვეტილება წარდგენილ დოკუმენტაციაზე, არამედ კომპანიას მისცა მითითება როგორ დაეხვეწა დოკუმენტი, რათა შემდგომში მასზე შესაძლებელი ყოფილიყო დადებითი გადაწყვტილების მიღება - აღნიშნული, სრულად სცდება სამინისტროს უფლებამოსილებას და კანონის მნიშვნელოვანი დარღვევაა.	ზემოქმედების სახეები. შპს „ჯეო ენტერპრაიზმა“ 2021 წლის 27 ოქტომბერს სამინისტროში კვლავ წარმოადგინა გზშ-ის ანგარიში, თუმცა 2021 წლის 9 ნოემბრის N11615/01 წერილით კვლავ შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, ვინაიდან, კომპანიას არ ჰქონდა დაზუსტებული/შესწორებული სამინისტროს N10694/01 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია. 2022 წლის 16 მარტს, შპს „ჯეო ენტერპრაიზმა“ სამინისტროში წარმოადგინა გზშ-ის ანგარიში, ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია საწარმოს მიერ უკვე განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. ვინაიდან, საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შესწავლას საჭიროებს, როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე და სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ზემოქმედების შესწავლის/შეფასებისთვის კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას, პროექტთან დაკავშირებით სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით. დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტი წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-5 ნაწილით გათვალიწინებულ საქმიანობას - **„თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების <u>წარმოება,</u> პირველადი**

		2022 წლის 21 მარტს შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ დირექტორმა ისევ წარადგინა სამინისტროში გზშ-ის ანგარიში და კვლავ მოითხოვა წარდგენილი დოკუმენტის განხილვა. სამინისტრომ კი, კვლავ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს უკანონოდ დაწყებულ (თუნდაც დროებით შეწყვეტილ, მაგრამ მიმდინარე მშენებლობის) საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, სამინისტროს არც უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ვინაიდან საქმიანობა არ ხვდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების ფარგლებში. რაღა თქმა უნდა, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშზე შეუძლებელია გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ეს პროცესი ნათლად წარმოაჩენს იმ დანაშაულებრივ პრაქტიკას (მხოლოდ მაისის თვეში უკვე ორი მსგავსი შემთხვევა დავაფიქსირეთ), რომელსაც საფუძველი სწორედ სამინისტროს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებმა დაუდო და რომელიც სრულად ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის ყველა ფუძემდებლურ პრინციპს.	**ან/და მეორეული დნობის ჩათვლით.“** შესაბამისად, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ საქმიანობა ხვდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების ფარგლებში, თუნდაც მოწყობითი სამუშაოების დასრულების შემთხვევაში, ვინაიდან, მნიშვნელოვანია წარმოების ეტაპის შეფასება.

10	ააიპ „მწვანე ალტერნატივა“ ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	შპს „ჯეო ენტერპრაიზმა“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა და შესაბამისად, სამინისტრომაც დაიწყო განცხადების განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოება. ამავე განცხადების თანახმად, სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თურმე სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. ხოლო, ახლა კვლავ აგრძელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2022 წლის 16 მარტს დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. ნათელია, რომ სულ მცირე, ეს გარემოება არის პროცესის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველი. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას აღემატება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა და/ან გაგრძელება.	2022 წლის 17 მარტის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „2022 წლის 1 მაისამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის სფეროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებას გასცემს აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო.“ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო უფლებამოსილია გააგრძელოს სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
11	ააიპ „მწვანე ალტერნატივა“ ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	წარმოების შეწყვეტის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, ასევე, ეწინააღმდეგება დამატებითი ინფორმაციის წარდგენისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებულ წესს.	გზშ-ის ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ სააგენტოში

		სააგენტომ შპს „ჯეო ენტერპრაიზს“ გაგზავნილი „შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის“ წარდგენა მოსთხოვა; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს შენიშვნების უმეტესობა წარდგენილი დოკუმენტის შესწორებას მოითხოვს. ამასთან, როგორც ცნობილია, გარემოსადაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ შენიშვნების მომზადებისა და მიცემის შესაძლებლობას. კოდექსი შენიშვნების წარდგენის უფლებას დაინტერესებულ საზოგადოებას აძლევს და ეს შენიშვნები გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გასათვალისწინებლად არის განკუთვნილი და არა გადაწყვეტილების მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტის დასახვეწად. გაუგებარი იყო სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ და „მწვანე ალტერნატივას“ მიერ სამინისტროში წარდგენილი შენიშვნების კომპანიისათვის გაგზავნის მიზანი. წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული	წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, სააგენტოს 2022 წლის 23 მაისის N21/1919 წერილის საფუძველზე **შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება** და კომპანიას დაევალა ორი თვის ვადაში დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გზშ-ის ერთი-ერთი ძირითადი ეტაპია „სააგენტოს მიერ გზშ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, **საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის,** საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება.“ გარდა ამისა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა

		ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე“. აღნიშნულის გათვალიწინებით აზრი დაკარგა ჩატარებულმა საჯარო განხილვამ, რომელზეც სწორედ ის ინფორმაცია იქნა განხილული, რომელიც არ იყო საკმარისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის სამსჯელოდ. სააგენტოს შენიშვნებზე პასუხად წარდგენილი ინფორმაცია გაურკვეველი საფუძვლით აღარ გახდა საჯარო განხილვის საგანი.	ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები.“ შესაბამისად, კომპანიას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენისთვის განესაზღვრა ორი თვის ვადა. გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.“ რაც შეეხება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ დაინტერესებული საზოგადოების შენიშვნების გათვალისწინებას, გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ წერილობით წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ასახულ იქნა სააგენტოს 2022 წლის 23 მაისის N21/1919 წერილში, დანართის სახით. სააგენტოს 2022 წლის 23 მაისის N21/1919 წერილით ადმინისტრაციული წარმოების **შეჩერების** საფუძველი გახდა როგორც დოკუმენტაციაში არსებული უზუსტობები, რომლებიც გამოიკვეთა წარმოების ეტაპზე, ასევე საჯარო განხილვის სხდომაზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და შენიშვნები. შესაბამისად საჯარო განხილვის ჩატარება და

			დაინტერესებული საზოგაროების პოზიციის დაფიქსირება მნიშვნელოვანი იყო პროექტის განხილვის ეტაპზე, ხოლო აღნიშნული პროცედურების ფარგლებში გამოკვეთილი ხარვეზების საფუძველზე მოხდა საკითხების დაზუსტება კომპანიის მიერ.
12	ააიპ „მწვანე ალტერნატივა“ ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	2022 წლის 7 ივლისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, საზოგადოებას ჰქონდა 2 კვირა „დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების“ წარდგენის შესაძლებლობა. გაუგებარია, რა პროცედურაა, ვისთვის არის განკუთვნილი და რა მიზანს ემსახურება დამატებით წარდგენილ (და არა განახლებულ სრულ დოკუმენტაციაზე) ინფორმაციაზე შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. ასევე, გაუგებარია რას ეფუძნება დამატებით წარდგენილი დოკუმენტების განხილვისთვის დადგენილი 2 კვირის ვადა.	როგორც აღინიშნა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, **ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას,** რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.“ შესაბამისად, დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოცულობიდან გამომდინარე საზოგადოებას მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოდგენის ვადად განესაზღვა ორი კვირა (10 სამუშაო დღე).